პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2023 წლის —— ივნისი **ქალაქი ბათუმი**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N

ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე იზოლდა სამსონიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. იზოლდა სამსონიას ხსოვნის უკვდავსაყოფად ქალაქ ბათუმში, ვაჟა–ფშაველას (N9) და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს მემორიალური დაფა.
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალის–წინებული მემორიალური განთავსებას, თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი).
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ საცხოვრებელ სახლზე იზოლდა სამსონიას მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მკვიდრი, ეთნოლოგიის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ქალბატონი იზოლდა სამსონია წარმატებით იკვლევდა აჭარის მატერიალური კულტურის, ბათუმის შემოგარენისა და მისი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხებს, რასაც 60–ზე მეტი ნაშრომი მიუძღვნა. მან, პირველმა მონოგრაფიულად შეისწავლა აჭარული ტანსაცმელი და ჩაცმულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სტატიები: „ხალხური სამზარეულო აჭარაში“, „ხანდაზმულთა კვების სტრუქტურა აჭარაში“, „ბავშვის დაბადებასთან და აღზრდასთან დაკავშირებით წეს–ჩვეულებები აჭარაში“ და სხვა...

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ქ. ბათუმში, ვაჟა–ფშაველას და დავით კლდიაშვილის ქუჩების კვეთაში არსებულ სახლზე განთავსდეს იზოლდა სამსონიას სახელობის მემორიალური დაფა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა)პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი).

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი არ გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულ-ტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროექტის შემუშავებაში ზემოაღნიშნული სუბიექტები არ მონაწილეობდნენ.

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი).

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან ცხოიძე**